

# ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13  
2017 წლის 11 ივლისი

ქ. ონი

„ონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

## მუხლი 1

„ონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის №22 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 28/12/2016, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.118.016200) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

## მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

შუქურა ჯაფარიძე

დანართი

## თავი I

### ონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი

#### მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება       | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი |                                                       |                      | 2017 წლის გეგმა |                                                       |                      |
|------------------|-----------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|
|                  |                 | სულ             | მათ შორის                                             |                      | სულ             | მათ შორის                                             |                      |
|                  |                 |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები      | 6,424.3         | 6,504.4         | 2,938.9                                               | 3,565.4              | 6,947.1         | 3,632.0                                               | 3,315.1              |
| გადასახადები     | 74.9            | 304.4           | 0.0                                                   | 304.4                | 300.0           | 0.0                                                   | 300.0                |
| გრანტები         | 6,110.2         | 5,815.6         | 2,938.9                                               | 2,876.7              | 6,427.1         | 3,632.0                                               | 2,795.1              |
| სხვა შემოსავლები | 239.2           | 384.4           | 0.0                                                   | 384.4                | 220.0           | 0.0                                                   | 220.0                |
| ხარჯები          | 2,687.8         | 2,612.8         | 62.8                                                  | 2,550.0              | 2,797.1         | 138.1                                                 | 2,659.0              |



|                                 |         |         |         |         |          |          |         |
|---------------------------------|---------|---------|---------|---------|----------|----------|---------|
| შრომის ანაზღაურება              | 990.6   | 973.8   | 0.0     | 973.8   | 983.0    | 0.0      | 983.0   |
| საქონელი და მომსახურება         | 713.2   | 775.6   | 33.5    | 742.0   | 877.5    | 109.7    | 767.8   |
| პროცენტი                        | 4.2     | 2.6     | 0.0     | 2.6     | 0.9      | 0.0      | 0.9     |
| სუბსიდიები                      | 626.4   | 644.9   | 0.0     | 644.9   | 677.1    | 0.0      | 677.1   |
| გრანტები                        | 158.5   | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0      | 0.0      | 0.0     |
| სოციალური უზრუნველყოფა          | 65.6    | 81.4    | 0.0     | 81.4    | 107.2    | 28.4     | 78.8    |
| სხვა ხარჯები                    | 129.3   | 134.5   | 29.3    | 105.3   | 151.3    | 0.0      | 151.3   |
| საოპერაციო სალდო                | 3,736.5 | 3,891.5 | 2,876.1 | 1,015.4 | 4,150.1  | 3,493.9  | 656.1   |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 3,448.6 | 2,209.7 | 1,352.3 | 857.4   | 6,490.2  | 5,300.5  | 1,189.7 |
| ზრდა                            | 3,462.8 | 2,239.4 | 1,352.3 | 887.0   | 6,490.2  | 5,300.5  | 1,189.7 |
| კლება                           | 14.2    | 29.7    | 0.0     | 29.7    | 0.0      | 0.0      | 0.0     |
| მთლიანი სალდო                   | 287.9   | 1,681.8 | 1,523.8 | 158.0   | -2,340.1 | -1,806.6 | -533.6  |
| ფინანსური აქტივების ცვლილება    | 244.4   | 1,618.3 | 1,476.7 | 141.6   | -2,377.5 | -1,826.5 | -551.0  |
| ზრდა                            | 244.4   | 1,618.3 | 1,476.7 | 141.6   | 0.0      | 0.0      | 0.0     |
| ვალუტა და დეპოზიტები            | 244.4   | 1,618.3 | 1,476.7 | 141.6   | 0.0      | 0.0      | 0.0     |
| კლება                           | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 2,377.5  | 1,826.5  | 551.0   |
| ვალუტა და დეპოზიტები            | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 2,377.5  | 1,826.5  | 551.0   |
| ვალდებულებების ცვლილება         | -43.4   | -63.5   | -47.1   | -16.5   | -37.3    | -19.9    | -17.4   |
| ზრდა                            | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0      | 0.0      | 0.0     |
| კლება                           | 43.4    | 63.5    | 47.1    | 16.5    | 37.3     | 19.9     | 17.4    |
| საშინაო                         | 43.4    | 63.5    | 47.1    | 16.5    | 37.3     | 19.9     | 17.4    |
| ბალანსი                         | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0      | 0.0      | 0.0     |



**მუხლი 2. ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**  
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება  
 თანდართული რედაქციით:

| დასახელება                   | 2015 წლის<br>ფაქტი | 2016 წლის ფაქტი |                                                                   |                         | 2017 წლის გეგმა |                                                                   |                         |
|------------------------------|--------------------|-----------------|-------------------------------------------------------------------|-------------------------|-----------------|-------------------------------------------------------------------|-------------------------|
|                              |                    | სულ             | მათ შორის                                                         |                         | სულ             | მათ შორის                                                         |                         |
|                              |                    |                 | სახელმწიფო<br>ბიუჯეტის<br>ფონდებიდან<br>გამოყოფილი<br>ტრანსფერები | საკუთარი<br>შემოსავლები |                 | სახელმწიფო<br>ბიუჯეტის<br>ფონდებიდან<br>გამოყოფილი<br>ტრანსფერები | საკუთარი<br>შემოსავლები |
| შემოსულობები                 | 6,438.5            | 6,534.0         | 2,938.9                                                           | 3,595.1                 | 6,947.1         | 3,632.0                                                           | 3,315.1                 |
| შემოსავლები                  | 6,424.3            | 6,504.4         | 2,938.9                                                           | 3,565.4                 | 6,947.1         | 3,632.0                                                           | 3,315.1                 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 14.2               | 29.7            | 0.0                                                               | 29.7                    | 0.0             | 0.0                                                               | 0.0                     |
| გადასახდელები                | 6,194.0            | 4,915.8         | 1,462.2                                                           | 3,453.6                 | 9,324.6         | 5,458.5                                                           | 3,866.1                 |
| ხარჯები                      | 2,687.8            | 2,612.8         | 62.8                                                              | 2,550.0                 | 2,797.1         | 138.1                                                             | 2,659.0                 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა  | 3,462.8            | 2,239.4         | 1,352.3                                                           | 887.0                   | 6,490.2         | 5,300.5                                                           | 1,189.7                 |
| ვალდებულების კლება           | 43.4               | 63.5            | 47.1                                                              | 16.5                    | 37.3            | 19.9                                                              | 17.4                    |
| ნაშთის ცვლილება              | 244.4              | 1,618.3         | 1,476.7                                                           | 141.6                   | -2,377.5        | -1,826.5                                                          | -551.0                  |

**მუხლი 3. ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**  
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2017 წლის შემოსავლები 6 947.1 ათ. ლარის ოდენობით.

| დასახელება       | 2015 წლის<br>ფაქტი | 2016 წლის ფაქტი |                                                                   |                         | 2017 წლის გეგმა |                                                                   |                         |
|------------------|--------------------|-----------------|-------------------------------------------------------------------|-------------------------|-----------------|-------------------------------------------------------------------|-------------------------|
|                  |                    | სულ             | მათ შორის                                                         |                         | სულ             | მათ შორის                                                         |                         |
|                  |                    |                 | სახელმწიფო<br>ბიუჯეტის<br>ფონდებიდან<br>გამოყოფილი<br>ტრანსფერები | საკუთარი<br>შემოსავლები |                 | სახელმწიფო<br>ბიუჯეტის<br>ფონდებიდან<br>გამოყოფილი<br>ტრანსფერები | საკუთარი<br>შემოსავლები |
| შემოსავლები      | 6,424.3            | 6,504.4         | 2,938.9                                                           | 3,565.4                 | 6,947.1         | 3,632.0                                                           | 3,315.1                 |
| გადასახადები     | 74.9               | 304.4           | 0.0                                                               | 304.4                   | 300.0           | 0.0                                                               | 300.0                   |
| გრანტები         | 6,110.2            | 5,815.6         | 2,938.9                                                           | 2,876.7                 | 6,427.1         | 3,632.0                                                           | 2,795.1                 |
| სხვა შემოსავლები | 239.2              | 384.4           | 0.0                                                               | 384.4                   | 220.0           | 0.0                                                               | 220.0                   |

**მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**  
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2017 წლის გადასახადები 300.0 ათასი ლარის  
 ოდენობით.

|  | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |
|--|-----------------|-----------------|
|--|-----------------|-----------------|



| დასახელება                                    | 2015 წლის ფაქტი | სულ   | მათ შორის                                             |                      | სულ   | მათ შორის                                             |                      |
|-----------------------------------------------|-----------------|-------|-------------------------------------------------------|----------------------|-------|-------------------------------------------------------|----------------------|
|                                               |                 |       | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |       | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გადასახადები                                  | 74.9            | 304.4 | 0.0                                                   | 304.4                | 300.0 | 0.0                                                   | 300.0                |
| საშემოსავლო გადასახადი                        | 0.0             | 87.7  | 0.0                                                   | 87.7                 | 100.0 | 0.0                                                   | 100.0                |
| ქონების გადასახადი                            | 74.9            | 216.7 | 0.0                                                   | 216.7                | 200.0 | 0.0                                                   | 200.0                |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 50.9            | 189.4 | 0.0                                                   | 189.4                | 188.0 | 0.0                                                   | 188.0                |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)         | 2.0             | 2.1   | 0.0                                                   | 2.1                  | 0.0   | 0.0                                                   | 0.0                  |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე         | 3.5             | 8.7   | 0.0                                                   | 8.7                  | 2.0   | 0.0                                                   | 2.0                  |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე      | 18.4            | 16.5  | 0.0                                                   | 16.5                 | 10.0  | 0.0                                                   | 10.0                 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე                    | 0.1             | 0.0   | 0.0                                                   | 0.0                  | 0.0   | 0.0                                                   | 0.0                  |

## მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 6 427.1 ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება                                                                  | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |
|-----------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| გრანტები                                                                    | 6,110.2         | 5,815.6         | 6,427.1         |
| საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები | 14.5            | 0.0             | 0.0             |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი                                  | 6,095.7         | 5,815.6         | 6,427.1         |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები                                       | 2,844.4         | 2,876.7         | 2,795.1         |
| გათანაბრებითი ტრანსფერი                                                     | 2,749.8         | 2,782.1         | 2,692.1         |
| მიზნობრივი ტრანსფერი                                                        | 94.6            | 94.6            | 103.0           |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები                                           | 3,251.3         | 2,938.9         | 3,632.0         |
| რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი                               | 2,916.4         | 2,636.9         | 3,603.6         |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა                                                 | 306.9           | 302.0           | 0.0             |
| მგფ-ს თანადაფინანსება                                                       | 0.0             | 0.0             | 0.0             |
| სხვა პროექტები                                                              | 28.0            | 0.0             | 28.4            |

## მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 220.0 ათასი ლარის ოდენობით.



| დასახელება                                                                        | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |
|-----------------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| სხვა შემოსავლები                                                                  | 239.2           | 384.4           | 220.0           |
| შემოსავლები საკუთრებიდან                                                          | 160.4           | 284.1           | 180.0           |
| პროცენტები                                                                        | 39.0            | 58.1            | 40.0            |
| რენტა                                                                             | 121.4           | 225.9           | 140.0           |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის                                 | 120.3           | 224.2           | 140.0           |
| შემოსავალი მიწის იჯარაიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 1.2             | 1.7             | 0.0             |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია                                              | 20.8            | 13.3            | 10.0            |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები                                     | 20.8            | 13.3            | 10.0            |
| სანებართვო მოსაკრებელი                                                            | 13.0            | 5.3             | 0.0             |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის                  | 7.9             | 8.0             | 10.0            |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი                                               | 0.0             | 0.0             | 0.0             |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება                                 | 0.0             | 0.0             | 0.0             |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან                                                | 0.0             | 0.0             | 0.0             |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები                                                  | 56.3            | 49.1            | 30.0            |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები                                    | 1.7             | 38.0            | 0.0             |

## მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯები 2 797.1 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება              | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი |                                                       |                      | 2017 წლის გეგმა |                                                       |                      |
|-------------------------|-----------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|
|                         |                 | სულ             | მათ შორის                                             |                      | სულ             | მათ შორის                                             |                      |
|                         |                 |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები                 | 2,687.8         | 2,612.8         | 62.8                                                  | 2,550.0              | 2,797.1         | 138.1                                                 | 2,659.0              |
| შრომის ანაზღაურება      | 990.6           | 973.8           | 0.0                                                   | 973.8                | 983.0           | 0.0                                                   | 983.0                |
| საქონელი და მომსახურება | 713.2           | 775.6           | 33.5                                                  | 742.0                | 877.5           | 109.7                                                 | 767.8                |
| პროცენტი                | 4.2             | 2.6             | 0.0                                                   | 2.6                  | 0.9             | 0.0                                                   | 0.9                  |
| სუბსიდიები              | 626.4           | 644.9           | 0.0                                                   | 644.9                | 677.1           | 0.0                                                   | 677.1                |
| გრანტები                | 158.5           | 0.0             | 0.0                                                   | 0.0                  | 0.0             | 0.0                                                   | 0.0                  |
| სოციალური უზრუნველყოფა  | 65.6            | 81.4            | 0.0                                                   | 81.4                 | 107.2           | 28.4                                                  | 78.8                 |



|              |       |       |      |       |       |     |       |
|--------------|-------|-------|------|-------|-------|-----|-------|
| სხვა ხარჯები | 129.3 | 134.5 | 29.3 | 105.3 | 151.3 | 0.0 | 151.3 |
|--------------|-------|-------|------|-------|-------|-----|-------|

### მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 6 490.2 ათ. ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 6 490.2 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება                                                | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |
|-----------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 68.7            | 14.7            | 41.3            |
| თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება           | 0.0             | 1.0             | 0.0             |
| ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია  | 3,394.1         | 2,214.7         | 6,448.9         |
| კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი      | 0.0             | 9.0             | 0.0             |
| სულ ჯამი                                                  | 3,462.8         | 2,239.4         | 6,490.2         |

ბ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება განსაზღვრული არ არის:

| დასახელება                   | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |
|------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| არაფინანსური აქტივების კლება | 14.2            | 29.7            | 0.0             |
| ძირითადი აქტივები            | 5.3             | 23.6            | 0.0             |
| მატერიალური მარაგები         | 1.4             | 0.3             | 0.0             |
| არაწარმოებული აქტივები       | 7.4             | 5.8             | 0.0             |
| მიწა                         | 7.4             | 5.8             | 0.0             |

### მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება                                                                                                                      | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |
|--------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| 701                | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება                                                                                      | 1,374.7         | 1,310.2         | 1,412.3         |
| 7011               | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 1,354.7         | 1,309.7         | 1,407.8         |
| 70111              | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის                                                                       | 1,354.7         | 1,309.7         | 1,388.8         |



|            |                                                                                 |                |                |                |
|------------|---------------------------------------------------------------------------------|----------------|----------------|----------------|
|            | უზრუნველყოფა                                                                    |                |                |                |
| 70112      | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა                                               | 0.0            | 0.0            | 19.0           |
| 7016       | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები                                                 | 0.0            | 0.0            | 0.2            |
| 7018       | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | 20.1           | 0.5            | 4.3            |
| <b>702</b> | <b>თავდაცვა</b>                                                                 | <b>50.6</b>    | <b>52.9</b>    | <b>53.9</b>    |
| <b>703</b> | <b>საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება</b>                                    | <b>163.1</b>   | <b>0.0</b>     | <b>0.0</b>     |
| 7031       | პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა                                          | 0.0            | 0.0            | 0.0            |
| 7032       | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა                                                       | 163.1          | 0.0            | 0.0            |
| <b>704</b> | <b>ეკონომიკური საქმიანობა</b>                                                   | <b>1,983.2</b> | <b>1,456.9</b> | <b>2,372.2</b> |
| 7045       | ტრანსპორტი                                                                      | 1,666.4        | 1,156.7        | 2,315.9        |
| 70451      | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები                                                | 1,666.4        | 1,156.7        | 2,315.9        |
| 7049       | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში                      | 316.7          | 300.1          | 56.3           |
| <b>705</b> | <b>გარემოს დაცვა</b>                                                            | <b>1,373.8</b> | <b>458.4</b>   | <b>1,785.0</b> |
| 7051       | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება                               | 149.3          | 184.1          | 194.5          |
| 7052       | ჩამდინარე წყლების მართვა                                                        | 1,224.5        | 274.3          | 1,590.5        |
| <b>706</b> | <b>საბინაო-კომუნალური მეურნეობა</b>                                             | <b>457.6</b>   | <b>763.0</b>   | <b>2,809.1</b> |
| 7061       | ბინათმშენებლობა                                                                 | 6.5            | 0.0            | 0.0            |
| 7062       | კომუნალური მეურნეობის განვითარება                                               | 136.5          | 329.1          | 2,278.2        |
| 7063       | წყალმომარაგება                                                                  | 191.4          | 300.0          | 407.3          |
| 7064       | გარე განათება                                                                   | 123.2          | 133.8          | 123.6          |
| <b>707</b> | <b>ჯანმრთელობის დაცვა</b>                                                       | <b>24.2</b>    | <b>33.5</b>    | <b>46.1</b>    |
| 7074       | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება                                            | 24.2           | 33.5           | 46.1           |
| <b>708</b> | <b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>                                            | <b>452.0</b>   | <b>473.0</b>   | <b>458.4</b>   |
| 7081       | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში                                      | 98.2           | 107.6          | 118.8          |
| 7082       | მომსახურება კულტურის სფეროში                                                    | 297.0          | 283.1          | 269.6          |



|            |                                                                         |                |                |                |
|------------|-------------------------------------------------------------------------|----------------|----------------|----------------|
| 7083       | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა                         | 0.0            | 0.0            | 0.0            |
| 7084       | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა                       | 56.8           | 82.4           | 70.0           |
| <b>709</b> | <b>განათლება</b>                                                        | <b>207.0</b>   | <b>220.8</b>   | <b>228.0</b>   |
| 7091       | სკოლამდელი აღზრდა                                                       | 145.8          | 153.0          | 160.0          |
| 7096       | განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება                                  | 61.2           | 67.8           | 68.0           |
| <b>710</b> | <b>სოციალური დაცვა</b>                                                  | <b>64.3</b>    | <b>83.5</b>    | <b>122.2</b>   |
| 7101       | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა       | 26.3           | 45.7           | 39.0           |
| 71011      | ავადმყოფთა სოციალური დაცვა                                              | 22.5           | 40.0           | 32.0           |
| 71012      | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა                     | 3.8            | 5.8            | 7.0            |
| 7102       | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა                                             | 0.5            | 1.0            | 1.5            |
| 7103       | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა                                  | 1.8            | 1.9            | 4.7            |
| 7104       | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა                                  | 25.7           | 24.8           | 30.0           |
| 7107       | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 0.0            | 0.0            | 0.0            |
| 7109       | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში             | 10.1           | 10.2           | 47.0           |
|            | <b>სულ</b>                                                              | <b>6,150.6</b> | <b>4,852.2</b> | <b>9,287.3</b> |

#### მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 2 340.1 ათასი ლარის ოდენობით.

#### მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 2 377.5 ათასი ლარის ოდენობით.

#### მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 37.3 ათ.ლარის ოდენობით.

#### მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდი 66.0 ათ. ლარი გაიხარჯება მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების შესაბამისად, გახარჯულია 47.0 ათ.ლარი.

#### მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 103.0 ათასი, ლარი მიიმართოს:



ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 46.1 ათასი ლარი;

ბ) სამხედრო სამსახურის საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 53.9 ათასი ლარი;

გ) სამამულო ომის ვეტერანების დაკრძალვის ხარჯი – 3.0 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

#### **მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### **თავი II**

#### **ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

#### **მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

##### **1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

##### **1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)**

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ონის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

##### **2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა-რეაბილიტაცია; ქალაქის დასუფთავება როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე საამშენებლო ნარჩენებისაგან, ქ. ონში სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია, ქვეპროგრამის ფარგლებში შესრულდება ქ. ონში სკვერების მოწყობის სამუშაოები, სოფ. ღებში ადმინისტრაციული და ბაგა-ბაღის შენობის რეაბილიტაცია, სოფლებში წყლის სისტემის რეაბილიტაცია-მომსახურება და სასმელი წყლის მიღების შეძენა, გამოცხადდება შესყიდვა მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურებაზე. განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების რეაბილიტაცია, ტექნიკური მომსახურება როგორც ქ. ონში, ასევე სოფლებში. წილობრივი მონაწილეობით დაფინანსდება ქ. ონში ბერშევას სახელობის პარკში არსებული სპორტული კომპლექსის შენობის და მიმდინარე ტერიტორიის რეაბილიტაცია და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მინერალურ წყლებთან მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა, სოფ. ბარი-მრავალძლის გზის მოასფალტების და შარდომეთში მეწყრისგან დაზიანებული მისასვლელი გზის სამუშაოების დაფინანსება, სოფ. უწერაში წყლის სისტემის რეაბილიტაცია და სოფ. ღარის კანალიზაციის მოწყობა, სოფ. გოლაში ბაგა-ბაღის შენობის კეთილმოწყობა, გ. ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლში იატაკის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქ. ონში სლავა მეტრეველის სახელობის სტადიონის რეაბილიტაცია, სოფ. ცხმორში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია, მოეწყობა ქ. ონში და სოფ. ხეითში დაღუპულ მეომართა მემორიალი და განხორციელდება 2016 წელს აღებული ვალდებულებების შესაბამისად სამუშაოების შესრულება. სოფ. ღებში ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოები, სოფ. ნიგაზებში სარიტუალო დარბაზის დასრულების სამუშაოები და ქ. ონში ბაგა-ბაღის გარე კანალიზაციის გაწმენდითი ნაგებობის მოწყობა. შესრულდება სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების, ნაპირსამაგრი და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები.



## **2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)**

მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდინაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობის აუცილებლობა. მნიშვნელოვანია საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზება. ზამთარში დიდთოვლობის დროს მაღალმთიან სოფლებში ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა. განხორციელდება შიდა სასოფლო გზების მოვლა-შენახვა-რეაბილიტაცია. განხორციელდება წილობრივი მონაწილეობით სოფ. ბარი-მრავალძლის გზის მოასფალტების და შარდომეთში მეწყრისგან დაზიანებული მისასვლელი გზის სამუშაოების დაფინანსება, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფ. ზუდალი-შქმერის გზის ასფალტირება. განხორციელდება 2016 წელს აღებული ვალდებულებების შესაბამისად მოასფალტების, საზედამხედველო და თოვლისაგან და მეწყერისაგან გზების წმენდის სამუშაოების შესრულება. შესრულდება სოფ. უწერაში გვერითისა და წმინდა გიორგის სალოცავზე გასასვლელი ხიდის რეაბილიტაცია. შესრულდება სტიქიით დაზიანებული გზების აღდგენითი სამუშაოები.

## **2.2 საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სარემონტო სამუშაო 2016 წელს არ არის გათვალისწინებული.

## **2.3 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)**

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის როგორც ქალაქად ისე სოფლად, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ტექნიკური მომსახურება და ახალი წერტილების დამატება. განხორციელდება 2016 წელს აღებული ვალდებულებების შესაბამისად სოფ. ფსორში, საკაოში, ლაგვანთასა და სორში გარე განათების მოწყობის სამუშაოების შესრულება.

## **2.4 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. განხორციელდება მაწანწალა ძაღლების პრევენციული ღონისძიებები.

## **2.5 საკანალიზაციო სანიაღვრე სისტემის, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა- რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 2016 წელს აღებული ვალდებულებების შესაბამისად სოფ. ღარში მდ. ღარულის კალაპოტის წმენდა და ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა. ქ. ონში სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია შესრულდება სოფ. ღარში კანალიზაციის ქსელის მოწყობის და სოფ. ღებში ნაპირსამაგრი მოწყობის სამუშაოები. შესრულდება სტიქიის შედეგად დაზიანებული ნაპირსამაგრი და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები.

## **2.6 წყლის სისტემის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფლებში წყლის სისტემების რეაბილიტაციის სამუშაო და წილობრივი მონაწილეობით სოფ. უწერაში წყლის სისტემის რეაბილიტაცია. მოხდება წყალმომარაგების ქსელის მომსახურება და ქ.ონში ზ. ქაფიანიძის ქუჩაზე მდებარე მჟავე წყლის ამოყვანა. განხორციელდება 2016 წელს აღებული ვალდებულებების შესაბამისად სოფ. პატარა ღებში არსებული წყალსადენის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება. მოხდება სასმელი წყლის მიღების შეძენა.



## 2.7 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

მუნიციპალიტეტში არსებულ საკუთრებაში საკმაოდ ბევრი არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობაა, რომელიც ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული დატვირთვის მატარებელია. შენობების ექსპლუატაციის პერიოდის გათვალისწინებით, ხშირად დგება დღის წესრიგში მათზე მიმდინარე სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოების შესრულება. ქვეპროგრამის ფარგლებში შესრულდება ქ.ონში სკვერების მოწყობის სამუშაოები, სოფ. ღებში ადმინისტრაციული და ბაგა-ბაღის შენობის რეაბილიტაცია და გამოცხადდება შესყიდვა მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურებაზე, ასევე განხორციელდება წილობრივი მონაწილეობით დაფინანსება ქ. ონში ბერშევას სახელობის პარკში არსებული სპორტული კომპლექსის შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მინერალურ წყლებთან მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა. სოფ. გლოლაში ბაგა-ბაღის შენობის კეთილმოწყობა, გ. ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლში იატაკის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქ. ონში სლავა მეტრეველის სახელობის სტადიონის რეაბილიტაცია, სოფ. ცხომორში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია, სოფ. უწერაში მდებარე თავშეყრის ადგილის დემონტაჟი და მონტაჟი, მოწყობა ქ. ონში და სოფ. ხეითში დაღუპულ მემორიალთა მემორიალი განხორციელდება 2016 წელს აღებული ვალდებულებების შესაბამისად ქ. ონში აღმაშენებლის ქ.№52-ში არსებული შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები და სახედამხედველო, სოფ. გლოლაში ადმინისტრაციული შენობის სახურავის და სოფ. ნაკიეთში ბიბლიოთეკის შენობის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება. განხორციელდება ქ.ონში დემეტრე მეორის მოედანზე არსებული სველი წერტილების სარემონტო სამუშაოები და მოხდება ფინანსური მხარდაჭერა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა შინდისის გმირების მემორიალის აღმართვის სამუშაოებისა. განხორციელდება სოფ. ნიგავზეში სარიტუალო დარბაზის დასრულების სამუშაოები, ყაზბეგის ქუჩის მიმდებარე ფერდობზე ქვების დაშლის და ბაღის მოწყობის სამუშაოები და ქ.ონში ბაგა-ბაღის გარე კანალიზაციის გაწმენდითი ნაგებობის მოწყობა. დაგეგმილია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი და ადგილობრივი თანხებით შესრულებული სამუშაოების სახედამხედველო მომსახურების შესყიდვა. გამოცხადდება სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების, სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა.

## 2.8 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი 03 04)

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2017 წელს განხორციელდება 2016 წელს აღებული ვალდებულებების შესაბამისად სოფ. გლოლაში და სამთისში, ნაკიეთში და ჟამქვაში სასმელი წყლის სისტემის სამუშაოების შესრულება. სოფლის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.

## 2.9 ა(ა)იპ – გამწვანების სამსახური (პროგრამული კოდი 03 05)

განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში გამწვანების ობიექტების მოწყობა-მოვლა-პატრონობა, ზეხმელი და ავარიული ხეების გეგმური ფორმირებები, არსებული სკვერების, გაზონების, ფერდობებისა და ყვავილნარების მოვლა-პატრონობა.

## 3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

### 3.1 სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ერთი საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 125 ბავშვი და დაქვემდებარებაშია ალტერნატიული ჯგუფები სოფ. ღარში, უწერაში და ჭიორაში. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს.



## 4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. ასევე ახალგაზრდობში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს;

### 4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა.

#### 4.1.1 ბავშთა და მოზარდთა კომპლექსური სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01)

2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და ღონისძიებები. ტარდება სამხარეო და რესპუბლიკური ტურნირები ფეხბურთში და ტურისტული ლაშქრობა. დაკავებულია მუნიციპალიტეტის 85-მდე სპორტსმენი ფეხბურთისა და კალათბურთის წრეებზე, რომელთა დაფინანსება მთლიანად ხდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

